



სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

2025 წლის ანგარიში

სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, აშენდა ახალი ოფისები ქობულეთში, მცხეთაში, დედოფლისწყაროსა და მარნეულში;

რეკონსტრუქცია ჩატარდა აბაშაში ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრს; რეგიონულ ოფისში განხორციელდა სარემონტო სამუშაოები.

ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული ექსპორტის სერტიფიკატების გაცემის გამარტივების მიზნით, მიმდინარეობს სააგენტოს მომსახურების გაციფრულება, რის შემდეგაც შესაბამის მატერიალურ ფორმასთან ერთად, გაიცემა ელექტრონული ფორმა. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის მიმართულებებით, დაწყებულია სახელმწიფო კონტროლის ელექტრონული პროგრამების შექმნა/გაუმჯობესება, რაც ეფექტიანს გახდის შემოწმების პროცესს.

სურსათის უვნებლობა

მომხმარებელთა ინტერესებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შესაბამისად, ყოველწლიურად ახორციელებს სამომხმარებლო ბაზრის, მათ შორის, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, მარკეტების, ცხოველთა სასაკლაოების, საცხოვების, აგრარული ბაზრების და ა.შ. შემოწმებას.

2025 წელს ჩატარდა 39 537 სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება, დოკუმენტური შემოწმება, მონიტორინგი, ნიმუშების აღება, ზედამხედველობა, HACCP-ის აუდიტი).

გამოვლინდა 4038 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიული კვლევა განხორციელდა 338 მაჩვენებელზე, მათ შორისაა მძიმე მეტალების და აკრძალული ნივთიერებების, ვეტერინარული (ანტიბიოტიკი) ნარჩენების, პესტიციდების ნარჩენების, გმოს, ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა, რძეში აფლატოქსინ M1-ის, რძის ცხიმის სისუფთავის, სურსათში ტრანსცხიმების განსაზღვრა, ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე და ა.შ. გამოკვლეულია სხვადასხვა დასახელების სურსათის/სასმელი წყლის 7442 ნიმუში/სინჯი. კანონმდებლობით დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობა გამოვლინდა 582 ნიმუშში/სინჯში.

- ✓ 2025 წლიდან, რძეში აფლატოქსინ M1-ის განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საკვლევი ნიმუშების რაოდენობა. პროგრამის ფარგლებში გამოკვლეულია 459 ნიმუში;
- ✓ 2025 წელს გააქტიურდა რძის საწარმოების კონტროლი. მთელი ქვეყნის მასშტაბით, სააგენტოს ინსპექტორებმა რძის 50-მდე არარეგისტრირებული წარმოება გამოავლინეს. აქედან ნახევარმა სააგენტოს უკვე მიმართა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად დაიწყო საქმიანობა;
- ✓ 2025 წელს განხორციელებული სახელმწიფო კონტროლისა და ბიზნესექტორის ინფორმირებულობის გაზრდის შედეგად, მნიშვნელოვნად შემცირდა სურსათში (ხორცი, რძე, კვერცხი, თევზი) ანტიბიოტიკების ნარჩენების გამოვლენის შემთხვევები. ვეტერინარული პრეპარატების და სხვა ნარჩენი ნივთიერებების კვლევის მიზნით, 1357 ნიმუშია გამოკვლეული, დარღვევა მხოლოდ 20 ნიმუშში გამოვლინდა;
- ✓ 2025 წელს სააგენტოს პრიორიტეტი იყო აკვაკულტურების შემოწმება. თევზში მალაქიტის მწვანეს, ლეუკომალაქიტის მწვანეს განსაზღვრის მიზნით, აღებულია თევზის (კალმახი) 215 ნიმუში, დარღვევა დაფიქსირდა 20 ნიმუშში.

ვეტერინარია

ვაქცინაცია/რევაქცინაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, წინასწარი მონაცემებით, სხვადასხვა დაავადების (თურქული, ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ქირი) საწინააღმდეგოდ ჩატარდა 5 მილიონზე მეტი მანიპულაცია (ვაქცინაცია/რევაქცინაცია, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია).

ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) მონაცემებით, 2025 წელს, დაავადება თურქულის SAT-1 სეროტიპით გამოწვეული აფეთქებების კერები დაფიქსირდა. პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეისყიდა შესაბამისი სეროტიპის შემცველი ვაქცინა, რომელიც რეკომენდებულია ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) რეფერენს ლაბორატორიის მიერ. სააგენტომ ცხოველების ვაქცინაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა.

ყირიმ-კონგოს საწინააღმდეგოდ, ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავებულია 10 620 მსხვილფეხა საქონელი.

სამოვრებზე სეზონური გადარეკვისას, ქვეყნის მასშტაბით არსებული ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტებზე, ექტოპარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 1 021 079 მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

ცხოველთა იდენტიფიკაცია/რეგისტრაციის პროგრამის ფარგლებში, დარეგისტრირდა 250 საფუტკრე მეურნეობა (10 500 სკა); იდენტიფიცირებულია 965 000 მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი.

2025 წელს პირველად გაიცა კომპენსაცია ჯილხით მკვდარი ცხოველების მეპატრონეზე.

2025 წლის ივლისიდან, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სურსათის ეროვნული სააგენტო ახორციელებს უპატრონო/მიკედლებული ცხოველების (მალი, კატა) პოპულაციის მართვის საპილოტე პროგრამას, რომელიც მოიცავს აჭარის, იმერეთის, კახეთის რეგიონებსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტს. პროგრამის ფარგლებში, 9550 ცხოველს ჩაუტარდა კასტრაცია-სტერილიზაცია, ვაქცინაცია, დიაგნოსტიკური კვლევები, იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შექმნას და ეფექტიანი გზაა დაავადება ცოფის სრული აღმოფხვრისთვის.

2025 წელს, -ის ექსპერტების ჩართულობით მომზადდა საკანონმდებლო ბაზა და 2026 წლიდან ვეტერინარების სერტიფიცირება სავალდებულო ხდება.

სერტიფიცირება ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტის ვეტერინარული სერვისების მიწოდებას, არაკვალიფიციური პრაქტიკის აღკვეთას, ვეტერინარული საქმიანობის განმახორციელებელი პირების უფლებების დაცვას.

ვეტერინარული კონტროლი

2025 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ცხოველთა საკვების აღიარებული საწარმოების HACCP-ის აუდიტი; ცხოველის საკვებში აფლატოქსინის ლაბორატორიული კვლევა; წყალსატევებიდან წყლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა მალაქიტის მწვანესა და ლეიკო მალაქიტის მწვანეს, კრისტალური იისფერისა და ლეუკოკრისტალური იისფერის მაჩვენებლებზე;

განხორციელდა 1642 სახელმწიფო კონტროლი, გამოვლინდა 58 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ექსპორტი

სააგენტოს ინსპექტორების მიერ, ცოცხალ ცხოველებსა და ვეტერინარულ ტვირთზე საექსპორტოდ გაიცა 8963 ვეტერინარული სერტიფიკატი.

ექსპორტირებულია 120 778 მსხვილფეხა, 264 497 წვრილფეხა პირუტყვი.

მცენარეთა დაცვა

მავენებლებთან ბრძოლის ღონისძიებები

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისა და ეკონომიკური ზარალის თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდა მცენარეთა მავენებლების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

2025 წელს:

- ✓ იტალიური და მაროკოული კალიების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 23 300 ჰა ფართობი, მონიტორინგი ჩატარდა 243 000 ჰა ფართობზე;
- ✓ ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ კახეთის რეგიონში დამუშავდა 1 937 ჰა ფართობი;
- ✓ კოლოების საწინააღმდეგოდ კახეთის რეგიონში დამუშავებულია 13 580 ჰა ფართობი;
- ✓ სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“ ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში დამუშავდა 414 367 ჰა ფართობი.

ექსპორტი

საქართველოდან ექსპორტზე გადის ფიტოსანიტარიულ სერტიფიცირებას დაქვემდებარებული მცენარეული პროდუქტები: ატამი, ვაშლატამა, თხილი, ვაშლი, ლურჯი მოცვი, დაფნა, კარტოფილი, მწვანელი და სხვა.

2025 წელს გაიგა 11 726 საექსპორტო ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი.

პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი

გამკაცრდა სპეციალიზებული სავაჭრო ობიექტების მოთხოვნები და მათი საქმიანობა ექვემდებარება აღიარებას;

- ✓ აღიარებულია 594 ობიექტი, საიდანაც უკვე განხორციელდა 526 შემოწმება და გამოვლინდა 68 სამართალდარღვევა;
- ✓ სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, 191 სარეალიზაციო ობიექტიდან აღებულია 336 ნიმუში, გამოვლენულია 296 პესტიციდი და 40 აგროქიმიკატი. შეუსაბამობა არ გამოვლენილა;
- ✓ გაიზარდა ლაბორატორიული შესაძლებლობები და, 73-ის ნაცვლად, შესაძლებელია 96 მოქმედი ნივთიერების კვლევა.

ევროკავშირთან დაახლოება

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ევროკავშირის შესაბამის ნორმატიულ აქტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების მიზნით, შეიმუშავა რეგულაციები, რომლებიც მიმართულია სანიტარიული და ფიტოსანიტარიული, ცხოველთა კეთილდღეობისა და სხვა საკანონმდებლო ღონისძიებების გასაუმჯობესებლად.

ბიზნესწრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართა რეგიონული შეხვედრები, რომლებიც მიემდვნა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებული ქართული კანონმდებლობის შესახებ დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობასა და ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციაში მეწარმეთა ხელშეწყობას.

განხილული საკითხები:

- ✓ ცხოველის საკვებში გამოყენებული საკვები დანამატების წესის და ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსებისა და ეტიკეტირების წესი;
- ✓ სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი;
- ✓ სურსათის უვნებლობის პრინციპები საზოგადოებრივ კვების ობიექტებში, თხილის გადამამუშავებელი ბიზნესოპერატორებისათვის;
- ✓ ავტორიზაციის საკითხები და პროცედურები;
- ✓ ტექნიკური რეგლამენტი – ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობა;
- ✓ ტექნიკური რეგლამენტი – საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი;
- ✓ აკვაკულტურის სფეროში მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაცია – რისკების მართვის სისტემის აღსრულების საკითხები (საქართველოს მთავრობის №594 დადგენილება);
- ✓ DCFTA-ის ფარგლებში შემუშავებული ახალი საკანონმდებლო მოთხოვნები და მათი აღსრულების წესები;
- ✓ ცხოველის იდენტიფიკაცია/ რეგისტრაციის სისტემის მიმოხილვა;
- ✓ მეფუტკრეობის სფეროში ძალაში შესული საკანონმდებლო დოკუმენტებისა და ფუტკრის სხვადასხვა დაავადების პრევენციისა და მკურნალობის ახალი მეთოდები;
- ✓ ფრინველის ხორცისა და კვერცხის შენახვის ვადა, სალმონელა და კამპილობაქტერიის განსაზღვრის მეთოდები;
- ✓ აკვაკულტურის პროდუქტების სურსათის უვნებლობის სასწავლო პროგრამა საქართველოში.

ჩატარებული საერთაშორისო ტრენინგები:

- ✓ „სურსათის გამაუმჯობესებელი აგენტების შესახებ“ (BTSF ტრენინგ-კურსი;

- ✓ „ნიმუშების აღების და ანალიზის მეთოდები სურსათის უვნებლობის კონტროლის კონტექსტში“;
- ✓ „ცხოველთა კეთილდღეობა“(WOAH);
- ✓ „სურსათთან შეხებაში მყოფი მასალების შესახებ“ (BTSF ტრენინგ-კურსი);
- ✓ მცენარეთა დაცვის საშუალებების ნარჩენების ნიმუშის აღება და მათი ანალიზი;
- ✓ ევროკავშირის მარეგულირებელი ჩარჩოს შესახებ ტრენინგი - “გენმოდიფიცირებული ცხოველის საკვების, მედიკამენტური ცხოველის საკვების, ცხოველური წარმოშობის ნარჩენებისა და HACCP აუდიტის შესახებ ცხოველის საკვების საწარმოებში”;
- ✓ აკვაკულტურის სფეროში მიღებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციის, კერძოდ, რისკების მართვის სისტემის აღსრულების საკითხების (საქართველოს მთავრობის №594 დადგენილება), ასევე, აკვაკულტურის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები და მიღებული შედეგები;
- ✓ „პესტიციდების მდგრადი გამოყენების მისაღწევად გასატარებელი ღონისძიების სამოქმედო გეგმის (2025-2029 წწ.) ფარგლებში, პესტიციდების პროფესიონალი მომხმარებლებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამის განხილვა.